



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მაჩხანელი (ნამდვ. გვარი ნადირაძე) დიმიტრი მიხეილის ძე

მაჩხანელი (ნამდვ. გვარი ნადირაძე) დიმიტრი მიხეილის ძე (11. I. 1861, სოფ. ქვემო მაჩხაანი, ახლანდ. სიღნაღის მუნიციპალიტეტი, - 16. XI. 1903, იქვე), მწერალი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. იყო მოსკ. უნ-ტის თავისუფალი მსმენელი. ლექსების პირველი კრებ. „ახალი სიზმარი“ 1880 გამოსცა, მეორე („სიყვარულის კონა“) - 1881. მ-ის მოთხრობები, პიესები, პუბლიც. წერილები იბეჭდებოდა ქართ. პრესაში („ივერია“, „მოამბე“, „აკაკის კრებული“, „ჭვჭილი“ და სხვ.). 1887 ცალკე წიგნად გამოქვეყნდა „ძმური სიტყვა“, რ-იც პუბლიც. ფელეტონების სახით იბეჭდებოდა „ივერიაში“. იგი განიცდიდა ხალხოსნების გავლენას. მისი ფსევდონიმები იყო „თერგდალეული“, „მთადიდელი“, „ლახვარიძე“. მ-ის ზოგიერთი ლექსი („ჩემ საყვარელ სამშობლოს“, „ვედრება“, „ტურფავ, მოდი, ნუ ხარ მტრულად“) სიმღერად იქცა. 1895 მისი თაოსნობით გაიხსნა ქალთა დაწყებითი სკოლა ბიბლიოთეკით (რ-საც მან საკუთარი სახლი დაუთმო) და სამეურნეო სასწავლებელი. მ-ის ინიციატივით სოფელში აიგო თეატრის შენობა (1897), სადაც მისივე ხელმძღვანელობით იმართებოდა წარმოდგენები (საქართვე. პროვინციებში ეს პირველი სახ. თეატრი იყო).

თხზ.: ძმური სიტყვა, ტფ., 1887; სოფლის კუნწულა, ტფ., 1892; გლეხის ნაამბობი, თბ., 1897; მარო, დრამის ნაწყვეტი, ქუთ., 1898; სიყვარულის ამბავი, მოთხრობები, წგ. შუადგინა და წინასიტყვ. დაურთო ქ. ხაჩიაშვილმა, თბ., 1974.

ლიტ.: ი ა რ ა ლ ი მ., სიღნაღის სახალხო თეატრი, თბ., 1972; მ ა რ ტ ა შ ვ ი ლ ი ლ., დიმიტრი მაჩხანელი და თეატრი, „თეატრალური მოამბე“, 1970, №2; მ ი ს ი ვ ე, დიმიტრი მაჩხანელი, „ლიტერატურის მათიანე“, 1986, №9; ხ ა ჩ ი ა შ ვ ი ლ ი ქ.,

დიმიტრი მახანელი, „მნათობი“, 1972, №5.

ნ. ალანია
